

1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი: შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), დიპლომატიური წარმომადგენლობების, ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება	11 648,0	11 633,7	7 827,1	67,3%	101 985,0

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობდა დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა;
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 130 434 გასვლა;
- მიმდინარეობდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარითული, სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- გარემონტდა დიპლომატიური მისიების, მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო 94 ცალი დაცვის საგუშაგო ჯიხური;
- ოპერატიული რეაგირების ჯგუფების და მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილებისათვის 2021 წლის იანვრის თვეში განხორციელდა 1 478 000 ლარის ღირებულების

25 ერთეული მსუბუქი ავტომანქანის (შკოდა „octavia“ – 20 ერთეული, შკოდა „scala“ – 5 ერთეული) შესყიდვა.

- საინკასაციო, დაჯავშნულ ავტომანქანებში დასამონტაჟებლად შეძენილია 92 ცალი ვიდეოკამერა და 69 ჩამწერი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მეთვალყურეობა მანქანის წინა, გვერდითა და უკანა პერიმეტრის, ასევე, მანქანის კაფსულის, სადაც განთავსებულია ეკიპაჟი და საინკასაციო ჩანთები.

- შეძენილია 5 ცალი სერვერი.

- განხორციელდა ცენტრალური სადისპეჩერო პუნქტისთვის 373 305 ლარის ღირებულების ოპერატიული მართვის სადისპეჩერო კონსოლის დანერგვა.

- ოპერატიული რეაგირების ჯგუფების, დასაცავი ობიექტებისა და ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისთვის განხორციელდა 2 297 700 ლარის ღირებულების 30 ერთეული ოპერატიული დანიშნულების, სპეციალიზირებული (პიკაპი) ტიპის ავტომანქანის შესყიდვა.

- შეძენილია 1 ცალი კომპიუტერის ქსელური ეკრანი.

- განხორციელდა კავშირგაბმულობის (AES) ცენტრალური მიმღები კომპლექტის შესყიდვა.

- ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისთვის 2021 წლის აგვისტოს თვეში განხორციელდა 483 050 ლარის ღირებულების 1 ერთეული სპეციალიზირებული, დაჯავშნილი სატვირთოს ტიპის ავტომანქანის შესყიდვა. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ღირებულების 80 % - ავანსის სახით გადარიცხვა.

- ოპერატიული რეაგირების ჯგუფების, არაგაბარიტული ტვირთების დაცვა-გაცილებისა და ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირების ავტომანქანებისათვის შეძენილია 59 263 ლარის ღირებულების 30 ერთეული ხმამაღლა მოლაპარაკე ციმციმა.

- ტექნიკური საშუალებებით დაცული როგორც არსებული, ისე ახალი ობიექტების დაცვითი სისტემის განახლება-დამატებისათვის განხორციელდა 173126 ლარის ღირებულების სიგნალიზაციის სპეციალური კავშირის მოწყობილობების შეძენა.